საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, აკაკი ვასაძის ქ. № 2-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები“

შ.პ.ს. „ფენიქსი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2018 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, აკაკი ვასაძის ქ. № 2-ში, (ს.კ. №01.11.12.018.180) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, აკაკი ვასაძის ქ. № 2-ში, (ს.კ. №01.11.12.018.180) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2015 წლის ივნისში. სამუშაოების უშუალო შემსრულებელი, ინჟ. გეოლოგი მ. ყიფშიძე. თიხოვანი გრუნტების თვისებები და გრუნტის წყლის ქიმიური გამოკვლევები ჩატარდა მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. კლდოვანი ქანების თვისებების დასადგენად მათ გამოიყენეს საკვლევი მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ადრე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 9 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. მიწერილობა ..... 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ..... 1 გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით ..... 4 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ..... 4 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 7 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 8-10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფით ავტოპარკინგისათვის. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 8 ჭაბურღილი. მათი საერთო სიგრძე შეადგენს 161 მეტრს. ჭაბურღილებიდან

აღებული იქნა ნიმუშები გრუნტების თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული სავველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი.
2. ფენა 2 – თიხნარი, კარბონატული, ხვინჭის ჩანართებით 10%-მდე.
3. ფენა 3 – ძირითადი ქანი, სუბარგილითების ალუვიონი, 15% ნატეხოვანი მასალის შემცველობით.
4. ფენა 4 – ძირითადი ქანი, სუბარგილითების, ქვიშაქვების შუაშრეებით, ნაკლებად გამოფიტული (მაიკოპის წყება);
5. ფენა 5 – ძირითადი ქანი, ქვიშაქვებისა და სუბარგულითების მორიგეობა, ნაკლებად გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება (გარდა ნაყარი გრუნტისა) და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ჩატარებული სავველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 4.6-6,10 მ სიღრმეზე. დამყარებული დონე 4.2-5.9 მ. წყალი ქიმიური შედგენილობით სუსტად აგრესიულია მხოლოდ W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის ნაკეთობის მიმართ. დანარჩენ შემთხვევაში წყალი არ არის აგრესიული ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

დასკვნა

ქ. თბილისში, აკაკი ვასაძის ქ. № 2-ში, (ს.კ. №01.11.12.018.180) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორების მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

გ. ჭოხონელიძე

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 28 ноября 1975

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол N 18)

Чохонелидзе Луго Ивану

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

CV - ჭიბონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭიბონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი საშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია.	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-სამრკვლების მიმართულების ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფია „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებს გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასა დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-სამრკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-სამრკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუჯა ილიას ძე
ჭოხონელიძეს

მასზე, რომ იგი 1964 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
ამ ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
„30" ივნისის გადაწყვეტილებით
გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

ბ.ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский ...

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010539

სახელი გუგა

გვარი შოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ------

№ დ 0266413

პირადი ხელმოწერა

მისამართი ------

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგანყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ------

ბ.ა.

თანამდებობის პირის ხელმოწერა

ინფორმაცია **გ უ გ ა ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ი ს** მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში (2010-2015წწ.) შესრულებული სამუშაოების შესახებ:

1. შპს „მაგთიკომი“-ს კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის მშენებლობისათვის ქობულეთის რაიონში, სოფელ ციხისძირში ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური ძიება. 2013 წ. ივნისი.
2. კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის №6 სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე სალიანდაგო და სასაწყობო მეურნეობის მშენებლობასთან დაკავშირებით მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა. 2012 წ. აგვისტო.
3. საქართველოში, მდ. ჭოროხზე კარნათჰესის სამშენებლო უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა. 2014წ. ივლისი.
4. ქ. ბათუმში, აბუსერიძის შესახვევის №9-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები. 2013 წ. სექტემბერი.
5. მარნეულში, რუსთაველის ქ. №76-ში, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესახებ. 2013 წ. ივნისი.
6. ქ. თბილისში, ატენის ქუჩის შესახვევში (ს/კ 01.14.14.005.195) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები. 2014 წ. ივნისი.
7. ქ. თბილისში, გაგარინის ქ. №18-ში მრავალსართულიანი სახლის პროექტი. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა. 2014 წლის მარტი.